აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2012 წლის 19 ოქტომბერი

ქ. აბაშა

,,აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1

,,აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში (ვებგვერდი, 130111, 13/01/2011. სარეგ. კოდი 010320000.35110016027) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. დადგენილების ამოქმედების ვადა

აქტის მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 12 ოქტომბერს წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. დადგენილების ძალაში მიღება

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით თოფურია**

დანართი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1.	გამგებელი	2650
2.	გამგებლის მოადგილე	1500
3.	სამსახურის უფროსი	1290
4.	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
5.	გამგებლის თანაშემწე	790
6.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – მუნიციპალიტეტის რწმუნებული	1290
7.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	

ა)	მთავარი სპეციალისტი	560
ბ)	წამყვანი სპეციალისტი	540
გ)	უფროსი სპეციალისტი	520
დ)	სპეციალისტი	440
ე)	მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი	490